№1845 2015 წლის 4 სექტემბერი ქ. თბილისი

ა(ა)იპ – აჭარის განათლების ფონდისათვის უძრავი ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, ა(ა)იპ – აჭარის განათლების ფონდს (ს/კ №445393404) უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) წლის ვადით გადასცეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ქალაქ ბათუმში, ბაგრატიონის ქ. №121-ში 3891 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობა-ნაგებობა №01/4-ის მე-2 სართულზე არსებული 494,88 კვ.მ ფართი და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №05.26.02.106).

2. ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული უძრავი ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით გადაცემის პირობებად განისაზღვროს შემდეგი:

ა) ამავე უძრავ ქონებაზე პირადად ან/და მესამე პირ(ებ)ის მეშვეობით სასწავლო აუდიტორიების, სამუშაო კაბინეტებისა და ლაბორატორი(ებ)ის

მოწყობის მიზნით, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უმეტეს 2 (ორი) წლის ვადაში, არანაკლებ 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარის ღირებულების სარემონტო სამუშაოების განხორციელება;

ბ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მოთხოვნის შემთხვევაში, ამ განკარგულების საფუძველზე, მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება გაუქმდება არა უმეტეს ორი კვირის ვადაში.

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**